

## 1. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი:

1. 1881 წელს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით დაიწყო მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ რედაქციაზე. ქართული კულტურის ისტორიაში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.
2. თავდაპირველად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეედარებინა არსებული ტექსტები, დაედგინა და დაეხვეწა „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო რედაქცია. ამ კომისიის წევრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი და სხვები. ფინანსური საკითხების გადაწყვეტა კი თავის თავზე აიღო ცნობილმა ქველმოქმედმა გიორგი ქართველიშვილმა.
3. ტექსტების შესაგროვებლად გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა განცხადება. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ინიციატორები მოსახლეობას სთხოვდნენ, დროებით გადაეცათ კომისიისთვის მათ ხელთ არსებული წიგნები. მალე კომისიის განკარგულებასი 22 ხელნაწერი იყო.
4. სამუშაო თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, კომისიას კი ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვის უნდა შეექმნა ილუსტრაციები. ასეთი ქართველი ოსტატის პოვნა რთული აღმოჩნდა, რადგან იმ პერიოდში ახალი ქართული სახვითი ხელოვნება მხოლოდ ფეხს იდგამდა.
5. და აი, 1881 წელს, პეტერბურგიდან ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელსაც მიხელ ლერმონტოვის „დემონის“ ახალი გამოცემისათვის სურათები უნდა დაეხატა. სწორედ მას შესთავაზეს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირება.
6. კომისიის დახმარებით მიხაი ზიჩი ჯერ პოემას გაეცნო, და მონიშნა ის ეპიზოდები, რომლებიც უნდა დაეხატა. მან თვითონ შეარჩია შესაფერისი ტიპაჟი, შეაკერვინა ტანსაცმელი და თეატრში დადგა სცენები.
7. ამ სანახაობებს მაყურებელი ესწრებოდა, ზიჩი კი ჩანახატებს აკეთებდა. ერთ-ერთ სცენაში 105 ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქართველი არისტოკრატებიც.
8. ცოცხალი სურათების დადგმის ამბავი სწრაფად მოედო მთელ საქართველოს, გავიდა მის ფარგლებს გარეთაც. ეს სურათები დაიდგა უკრეინისა და რუსეთის დიდ ქალაქებში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პოემის პოპულარიზაციისთვის.
9. მიხაი ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნის“ ათი „ცოცხალი სურათი“ დადგა და დახატა. სამუშაოს დასრულების შემდეგ კოსტიუმები გადაეცა ქართულ თეატრს.

შემოხაზეთ თითოეული კითხვის სწორი პასუხი:

**10 ქულა**

(1) 1. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა XIX საუკუნის 80-იან წლებში?

ა) ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით დაიწერა ქართული კულტურის ისტორია.

ბ) ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით დაიწყო მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე.

- გ) ქართელი ინტელიგენციის ინიციატივით საქართველოში ჩამოვიდა ჩამოვიდა მიხაი ზიჩი.
- (1)2. ვისი ფინანსური მხრდაჭერით განხორციელდა ეს ინიციატივა?
- ა) უნგრელი მხატვრის
  - ბ) ქართველი საზოგადოების
  - გ) ქართველი ქველმოქმედის.
- (1)3. როგორ დაიწყო კომისიამ მუშაობა?
- ა) კომისიამ გამოაცხადა ილუსტრატორთა კონკურსი.
  - ბ) კომისიამ მოაგვარა ყველა ფინანსური პრობლემა.
  - გ) კომისიამ შეკრიბა პოემის რამდენიმე ხელნაწერი.
- (1)4. რა მიზნით მიმართა კომისიამ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით?
- ა) რათა დაესახელებინათ პოემის ილუსტრატორის სასურველი კანდიდატურა.
  - ბ) რათა მათ ხელთ არსებული ხელნაწერები ეთხოვებინათ კომისიისთვის.
  - გ) რათა წიგნის დასაბეჭდად საჭრო თანხის შეგროვებაში დახმარებოდნენ.
- (1)5. რა მიზნით ადარებდნენ კომისიის წევრები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებს ერთმანეთს?
- ა) იმისთვის, რომ ტექსტის საბოლოო რედაქცია დაედგინათ.
  - ბ) იმისთვის, რომ უძველესი ხელნაწერი აღმოეჩინათ.
  - გ) იმისთვის, რომ უძველესი ხელნაწერის თარიღი დაედგინათ.
- (1)6. რატომ არ გააფორმა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქცია ქართველმა ილუსტრატორმა?
- ა) იმ დროს ქართველ მხატვრებს არ სურდათ უსასყიდლოდ ემუშავათ.
  - ბ) იმ დროს ქართველ მხატვრებს კომისიამ არ შესთავაზა ეს საქმე.
  - გ) იმ დროს არ იყო განვითარებული ქართული სახვითი ხელოვნება.
- (1) 7. რას ნიშნავს: „ახალი ქართული სახვითი ხელოვნება ფეხს იდგამდა“?
- ა) სახვითი ხელოვნება იწყებდა განვითარებას.
  - ბ) სახვითი ხელოვნება რთულად ვითარდებოდა.
  - გ) სახვითი ხელოვნება სწრაფად ვითარდებოდა.
- (1) 8. რა მიზნით ჩამოვიდა მიხაი ზიჩი საქართველოში?
- ა) „ვეფხისტყაოსნის“ „ცოცხალი სურათების“ დასახატავად.
  - ბ) ლერმონტოვის ნაწარმოებისთვის ილუსტრაციის დასახატად.
  - გ) ქართველი მოღვაწეების პორტრეტების დასახატად.

(1)9. რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას მე -6 აბზაცი?

ა) მიხაი ზიჩი თვითონ დგამდა დასახატ სცენებს.

ბ) მიხაი ზიჩისთვის რეჟისორი დგამდა დასახატ სცენებს.

გ) მიხაი ზიჩი ფანტაზიით ქმნიდა ილუსტრაციებს.

(1)10. რას შეუწყო ხელი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სცენების დადგამა?

ა) დიდძალი ფინანსების მოზიდვას.

ბ) პოემის პოპულარიზაციას.

გ) წიგნის სწრაფად დაბეჭდვას.

2.წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილი `ლარა` (ადაპტირებული) და უპასუხეთ კითხვებს:

ათი თვის მერე, რაც ლარა და მისი შვილი ჟულიენი ჩვენს მეზობლად დასახლდნენ, ლარას მამა გაათავისუფლეს. უკვე თოთხმეტ წელიწადზე მეტი ჰქონდა ციხეში გატარებული, მაგრამ ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს, მთლად დავრდომილი გადმოიყვანეს მანქანიდან ლარამ და ვიღაც ღონიერმა კაცმა. ცალი ხელი მის ილღიაში ჰქონდა შეყოფილი ლარას, მეორე ხელით თავს უჭერდა, უკან არ გადავარდნოდა. ჟულიენი იდგა, თითქოს ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოეხერხებინა, მერე მანქანის კარი დაკეტა, წამოვიდა, შორიახლოს მოსდევდა დედას, პაპას და ღონიერ კაცს. შეიყვანეს შინ ნაპატიმრალი, ღონიერი კაცი წავიდა.

ჯერ ხომ ისედაც ერიდებოდა მეზობლებს ლარა, მამის მოყვანის შემდეგ, ეტყობოდა, მთლად აღარავისთან უნდოდა შეხვედრა. ალბათ, ვეღარც იცლიდა ვერავისთვის. დილაადრიან რძის რიგისკენ მიაჩხაკუნებდა ბოთლებს, მერე ბაზარში გარბოდა. სამსახურიდან დაბრუნებული, ხან აფთიაქში იყო წასასვლელი, ხან \_ ექიმებთან. ისედაც გამხდარი, კიდევ უფრო გახდა. თავდაუზოგავად იბრძოდა მამის გადასარჩენად. აპრილის დასაწყისში, აივანზედაც კი გამოჩნდა ნაპატიმრალი. საკუთარ ფეხებზე იდგა, თავიც სწორად ეჭირა და გაშავებული ხელებით მოაჯირს ჩაჭიდებული გადაჰყურებდა ქვეყანას.

ლარა გაათავისუფლდა მუდმივი დამაბულობისაგან. დაუბრუნდა კარგი ღიმილი. ნაპატიმრალს ახლა უკვე შეეძლო მარტო დარჩენა, იწვა, ალბათ, და კითხულობდა, ან ფიქრებში წასული, ჭერს შეჰყურებდა.

ერთ დღეს გამოვიდა ლარას მამა სახლიდან, \_ როცა შინ არ იყო არც ლარა, არც შვილიშვილი, \_ ჩავიდა დაბლა და იქ, ფოსტის მახლობლად, წაიქცა. შემოეხვია ხალხი, გამოუძახეს სასწრაფო დახმარებას, წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ვერაფერი უშველეს, მოკვდა. ვინ იყო, კაციშვილმა ვერ იცნო, არც პირადობის მოწმობა აღმოაჩნდა. ჯიბეში ედო მხოლოდ სამ ფურცელზე დაწერილი წერილი. წერილი ვიღაც უფროსს.

მე არ მინახავს ის წერილი, მაგრამ ბევრმა იცის მისი შინაარსი. ნაპატიმრალი იმ ვიღაც უფროსს სწერდა, პირველ რიგში, ვინ იყო და რა დამსახურებები მიუძღოდა საქვეყნო საქმეებში, როგორ ეწამა, მაინც გაუძლო ყველაფერს და დღეს ისევ ფეხზე დგას, და არა მარტო ფეხზე დგას, კვლავაც

გააგრძელებს ქვეყნის სამსახურს და ასეთად დარჩება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ამის დასადასტურებლად კი აცნობებდა: მას ჰყავს ქალიშვილი, ექიმი, პოლიკლინიკის თანამშრომელი, და მისი ვაჟი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი. დედა-შვილი ყოველდღე უსმენენ ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს საზღვარგარეთიდან. მერე, რაღა თქმა უნდა, ამ გადმოცემების შინაარსს ავრცელებენ სამსახურში და ინსტიტუტში, ეს კი იწვევს ჩვენი ადამიანების მორალურ გახრწნას. ასეთი დანაშაულებების წინააღმდეგ ყველამ უნდა იბრძოლოს, ყველამ, დიდმაც და პატარამაც, თუნდაც, მისი შვილი და შვილიშვილი იყოს... თორემ მალე, ალბათ, გვიან იქნება, გვიან...

ქვეყანამ გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ქართველები ვართ, მაინც უამრავნი მოვიდნენ დაკრძალვაზე. მეც მივედი. ლარას მამა ემოსა, თავდახრილი იჯდა, ხელი რომ ჩამოვართვი, ამომხედა, მადლობა გადამიხადა და, შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ მწარე ღიმილი გაუკრთა ბაგეზე.

(1) 1. ჟულიენის რა განწყობილებებს იწვევს ბაბუამისის შინ დაბრუნება?

- ა) შიშს
- ბ) დაბნეულობას
- გ) სიძულვილს.

(1) 2. ლარას რა თვისება ჩანს მამის მოვლის ეპიზოდში?

- ა) მოჩვენებითი პატივისცემა.
- ბ) თავგანწირული ერთგულება.
- გ) დაბნეულობა

(1) 3. რაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ავტორი იმით, რომ სახლიდან პირველად გამოსული ლარას მამა ფოსტასთან წაიქცა?

- ა) ფოსტაში სამსახურის დაწყება სურდა.
- ბ) დასმენის წერილის გაგზავნა უნდოდა.
- გ) ფოსტის შენობასთან შემთხვევით მოხვდა.

(1) 4. რა შეიძლება ვივარაუდოთ ლარას მამის მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით?

- ა) ლარას მამა პარტიული მუშაკი ან უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო.
- ბ) ლარას მამა ნამდვილი პატრიოტი და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი უნდა ყოფილიყო.
- გ) ლარას მამა ფსიქიკურად შერყეული იყო.

(1) 5. რომელ სახელმწიფოს გულისხმობს ლარას მამა ფრაზაში: `უსმენენ ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს`?

- (1) ა) რუსეთის ფედერაციას. ბ) საქართველოს რესპუბლიკას გ)საბჭოთა კავშირს.

(1) 6. რას მოითხოვდა ლარას მამა მოხსენებით ბარათში?

- ა) საკუთარი შვილისა და შვილიშვილის დაპატიმრებას.
- ბ) დამბეზღებლების დაუყოვნებლივ დაპატიმრებასა და დასჯას.
- გ) ოჯახისაგან მის წაყვანას.

(1) 7. ლარას მამის რა თვისებები გამოიხატა მისივე ხელით დაწერილ მოხსენებით ბარათში?

- ა) შურიანობა. ბ) უმადურობა. გ) შიში

(1) 8. რატომ ერიდებოდა ლარა მეზობლებს?

- ა) ავადმყოფი მამის გამო რცხვენოდა.
- ბ) ვეღარ იცლიდა მათთვის.
- გ) მათი ეშინოდა.

(1) 9. განმარტეთ ფრაზა: `ლარა გათავისუფლდა დამაბულობისაგან, დაუბრუნდა ღიმილი`

- ა) მამის გამოჯანმრთელება უხაროდა.
- ბ) სამსახური მასზე კარგად მოქმედებდა.
- გ) მეზობლებთან ურთიერთობა მოუხდა.

(1) 10. ვის უჩიოდა ლარას მამა?

- ა) მეზობლებს.
- ბ) მხოლოს ლარას.
- გ) საკუთარ შვილსა და შვილიშვილს.

3. ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით:

(10

*ქულა)*

ჩატარება	გადარიცხვა	მომზადება	<u>ყიდვა</u>	შეხვედრა	ქონა
----------	------------	-----------	--------------	----------	------

**ნიმუში:** ნიკა ახალ მანქანას ყიდულობს.

- 1) გიამ სატრანსპორტო კომპანიის ანგარიშზე თანხა \_\_\_\_\_.
- 2) საქართველოს კარგი გეოგრაფიული მდებარეობა \_\_\_\_\_.
- 3) ქალბატონო ნანა, როდის \_\_\_\_\_ ტრენინგებს.

4) შაბათ-კვირას ჩვენ ყოველთვის \_\_\_\_\_ მეუღლის მშობლებს.

5) დედა და ბებია სტუმრებისთვის სადილს \_\_\_\_\_.

4. მოუსმინეთ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს (20 ქულა):

1. რომელ დარგზეა საუბარი მოსმენილ ტექსტში

2. რა საკითხს ეხება მოსმენილი ტექსტი

3. რომელ თხზულებაზე საუბრობს მეცნიერი

4. რა ვერსიას ემხრობა მეცნიერი

5. აღწერეთ თქვენ მიერ ორგანიზებული ან დაგეგმილი რომელიმე ღონისძიება. (30-50 სიტყვა)

(25 ქულა)

.....

.....

.....

.....

.....

.....

5. ისაუბრეთ თქვენი ინტერესის სფეროს შესახებ

(25 ქულა)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---